

სოსე ორტივა-ი-ბასეტი

ეტიუდები სიყვარულზე

ფიქრები "ღონ ქისოტზე"

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი — 2020

მთარგმნელი: ნუგზარ კუჭუხიძე

გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2020 წელი

ვებ-გვერდი: akti.ge

© ნუგზარ კუჭუხიძე

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-2757-0

სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვაობა	5
---------------------------------	---

ეტიუდები სიყვარულზე

სიყვარულის ნიშნები.....	11
სიყვარული სტენდალთან	
I (გამოგონილი სიყვარული).....	22
II (მაშინვე და სამუდამოდ).....	28
III (სრულყოფილების სიყვარული).....	33
IV (სიყვარულის სხვადასხვაობა).....	38
V (დაინტერესებულობა და შეშლილობა).....	44
VI (ნებაყოფლობითა და გარდაუვლად).....	50
VII (ტრფიალება, ექსტაზი და ჰიპნოზის მდგომარეობა).....	54
VIII	60
IX.....	68

არჩევანი სიყვარულში

I (ფარულ სათავეთა ძიებაში).....	74
II (მიკროსკოპის ქვეშ)	80
III (სასიყვარულო ისტორიების რიგი).....	86
რეპლიკა იქით იყოს	91
IV (ჩვენი „შეცდომები“).....	96
V (ყოველდღიური გავლენა).....	103
VI (სასიყვარულო შერჩევა).....	109

ფიქრები "ღონ კისოტზე"

მცირე ტრაქტატი რომანზე	119
1. ლიტერატურული ჟანრები.....	120

2. დამრიგებლობითი რომანები.....	121
3. ეპოსი.....	125
4. წარსულის პოეზია.....	127
5. რაფსოდი.....	130
6. ელენე და მადამ ბოვარი.....	131
7. მითი – ისტორიის ფერმენტი.....	133
8. სარაინდო რომანები.....	135
9. ბალაგანისტი მასეჟე პედრო.....	139
10. პოეზია და სინამდვილე.....	140
11. სინამდვილე – მითის ფერმენტი.....	143
12. ქარის წისქვილები.....	146
13. რეალისტური პოეზია.....	147
14. მიმი.....	149
15. გმირი.....	151
16. ლირიზმის შესავალი.....	153
17. ტრაგედია.....	155
18. კომედია.....	158
19. ტრაგიკომედია.....	162
20. ფლობერი, სერვანტესი, დარვინი.....	164
შენიშვნები და განმარტებები.....	168
გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები.....	175

მთარბმელის წინასიტყვაობა

ევროპული აზროვნების ისტორიაში, დიდმა ესპანელმა ხოსე ორტეგა-ი-გასეტიმ, გამორჩეული ადგილი დაიკავა. იგი იყო ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი და ამასთანავე, არისტოკრატიული წრის მთლიანი ადამიანი. სამოქალაქო ომის დღეებში მან დევნილის ბედი გაიზიარა და სწორედ ამ დროს წარმოჩინდა, მთელი სისავსით მისი ნაშრომები.

სიცოცხლის ფილოსოფიისაკენ მისი ყურადღების გადატანაში დიდი წვლილი შეიტანეს, როგორც თვითონ ამბობდა, ჰერმან კოჰენმა, ვილჰელმ დილთაიმ, იმანუელ კანტის ფილოსოფიამ და მოგვიანებით, ფრიდრიხ ნიცშემ და ანრი ბერგსონმა.

ეპოქის უმწვავეს პრობლემად ორტეგას მიაჩნდა კულტურასა და სიცოცხლეს შორის არსებული დაპირისპირების გადალახვა; თავის მოძღვრებას მან რაციოვიტალიზმი უწოდა. იგი იზიარებდა ოსვალდ შპენგლერის, პიტირიმ სოროკინისა და არნოლდ ტოინბის შეხედულებას იმის შესახებ, რომ კულტურები მწიფდებიან და ილუპებიან.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი მიუთითებდა, რომ ყოველნაირ ადამიანურ ნამოწყებაში არის რაღაც უტოპიური. ადამიანი მიისწრაფვის სამართლიანობისაკენ და საბოლოოდ ჩადის სისაძაგლეს. ადამიანს ჰგონია რომ უყვარს და საბოლოოდ, უნდა დარწმუნდეს, რომ სასიყვარულო ალტქმანი ალტქმებად დარჩნენ. ადამიანის ზრახვანი არასოდეს არ განხორციელდება ისე, როგორც მას ჰქონდა ჩაფიქრებული, ადამიანის ბედია – იყოს მხოლოდ დაპირება, ცოცხალი უტოპია. ადამიანი – პროგრამაა. იგი არის ის, რაც ჯერ არ არის. ის,

რაც უნდა გამხდარიყო და მისი პროგრამული არსებობა თავის თავში შეიცავს მოვალეობას – ზიდოს, მისივე ნებით დასახული, ახალ-ახალი გეგმები.

ავტორი ცხოვრებას განიხილავს, როგორც „რადიკალურ რეალობას“, რომელიც დანანევრებულია მამაკაცურ და ქალურ სანყისებად, რაც ქმნის უნდობლობასა და მათ შორის, შეიძლება ითქვას, მტრობასაც. გასეტი „სამიჯნურო ისტორიებში“ ვერ ხედავს ჭეშმარიტ სიყვარულს, პირიქით, ისინი უფრო მეტად სიყვარულის დეფიციტზე მიუთითებენ, ვიდრე ნამდვილ სიყვარულზე. ფილოსოფოსი ღრმა კრიტიკული პოზიციიდან ააშკარავებს სტენდალისეული სიყვარულის თეორიის სისუსტესა და ცალმხრივობას.

გასეტი სიყვარულს განიხილავს შეშლილობის, შიზოფრენიის, მისტიკისა და ჰიპნოზის განასერში („მიჯნური შმაგსა გვითქვიან არაბულითა ენითა“ – რუსთაველი). ავტორი ფართოდ და ორიგინალურად წარმოგვიდგენს ქალის მიერ მამაკაცის შერჩევა-მოწონების ფსიქოლოგიურ საფუძვლებს. კერძოდ, იმ, ერთი შეხედვით პარადოქსულ მოვლენას, რომ ქალებს არ უყვარდებათ დიდი და სახელოვანი მამაკაცები.

განიხილავს რა საკითხთა მთელ რიგს, დონ კიხოტი უფრო საბაბია, რათა გვიჩვენოს არა მხოლოდ ლიტერატურისა და კულტურის კრიზისი, არა მხოლოდ მხატვრულ-ესთეტიკური ასახვის სირთულეები, არამედ პრობლემურ საკითხებზე პასუხები მოვცეს პერსპექტივაში და პოტენციურად.

გასეტმა დონ კიხოტი დაუპირისპირა ჩვენი დროის ადამიანს, – მასობრივ, პიროვნულობისაგან დაცლილ ადამიანს; ალალმართალი და სულის ღიაობაში მყოფი, მწუხარე სახის რაინდის უკეთილშობილეს მიზნებს – დედამიწაზე სამართლიანობისა და ბედნიერების დამკვიდრებას – აღსრულება არ უნერია, მაგრამ ბრძოლას მისი განხორციელების მისაღწევად ყოველთვის აქვს აზრი და მაღალზნეობრივი მნიშვნელობა („ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება“ – ნ. ბარათაშვილი).

გასეტი მკაცრად აფასებს იმათ, რომელთაც ლიტერატურა-სა და ხელოვნებაში უმთავრეს საგნად ამბები, სიუჟეტი და პერსონაჟთა სიმრავლე მიაჩნიათ, ხოლო ყურადღებას არ აქცევენ უმთავრესს, რაც ჩამონათვალს, ერთად აღებულს, აქცევს ხელოვნების საგნად, ეს კი არის ფორმა.

თანამედროვე, ადმინისტრაციული ეპოქის ადამიანი, გაუცხოებული, გულგრილი, სიყვარულის დეფიციტის პირობებში მცხოვრები, ვფიქრობ, დიდი ესპანელი მოაზროვნის ამ ნაშრომში აღმოაჩენს მრავალ საიდუმლოებაზე, ბუნებასა და ადამიანის ადამიანთან ურთიერთობის უმწვავესსა და უმტკივნეულეს საკითხებზე პასუხებს.

ნუგზარ კუჭუხიძე

ეტიუდები სიყვარულზე

სიყვარულის ნიშნები

ვისაუბროთ სიყვარულზე და შევთანხმდეთ, რომ „სასიყვარულო ისტორიებზე“ არ ვილაპარაკებთ. განსხვავებული „სასიყვარულო ისტორიები“, წამდაუნუმ წარმოიშვება მამაკაცებსა და ქალებს შორის და თან სდევს იმ ხარისხით განვითარების გამართულებელი მრავალი გარემოება, რომ „სასიყვარულო ისტორიებს“ შეიძლება უარი ვუთხრათ იმაზე, რომ წამდვილად ღირდეს ენოდოს მათ სიყვარული. რა შეიძლება იყოს მკვლევარისათვის უფრო მიმზიდველი, ვიდრე „სასიყვარულო ისტორიების“ ფსიქოლოგია, მთელი თავისი ჭრელი კაზუსტიკით, მაგრამ ჩვენთვის იოლი არ იქნება ყველაფერში გარკვევა, თუკი დასაწყისში არ განვსაზღვრავთ – რა არის სიყვარული თავისთავად, როგორც ასეთი. ამასთანავე, ჩვენ შევავინრობდით თემას, მისი სიყვარულის განხილვაზე დაყვანით, რომელსაც მამაკაცები და ქალები განიცდიან ერთმანეთის მიმართ. თემა გაცილებით ფართოა. დანტე მიიჩნევდა, რომ სიყვარული ამოძრავებს მზესა და სხვა მნათობებს.

იმ შემთხვევაშიც კი, თუკი თავს შევიკავებთ ესოდენ სამყაროსეული გარემოცვისაგან, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ სიყვარულის გამოვლენის მთელი მრავალფეროვნება. არა მხოლოდ მამაკაცს უყვარს ქალი, არამედ ქალსაც უყვარს მამაკაცი. ჩვენ ასევე გვიყვარს ხელოვნება და მეცნიერება, დედას უყვარს შვილი, ხოლო მორწმუნეს – ღმერთი. ობიექტთა უზღვავი სიმრავლე და სხვადასხვაგვარობა, სიყვარულის კანონებს დამორჩილებული, გვაქცევს წინდახედულად და ნებას არ გვაძლევს დავთვალოთ სიყვარულისათვის დამახასიათებელი ის თავისებურებები და თვისებები, რომელთა არსი, უფრო მეტად, ვინმეს ყოველგვარ სასიყვარულო ობიექტთა ბუნებაშია.

უკანასკნელი ორასი წლის მანძილზე ბევრს ლაპარაკობდნენ სასიყვარულო ისტორიებზე და ცოტას – სიყვარულზე. თუკი ყველა ეპოქა, დაწყებული ბედნიერი ძველი საბერძნეთის დროიდან, ქმნიდა თავის დიდ თეორიებს სამიჯნურო გრძნობებზე, ორი უკანასკნელი ასწლეული მოკლებულია ამას. ანტიკურმა სამყარომ დასაწყისში სხვებზე მეტად უპირატესობა მიაკუთვნა პლატონის დოქტრინას, ხოლო, შემდეგ სტოიკოელებს. შუა საუკუნეებმა აითვისა თომა აქვინელისა და არაბთა თეორიები. მეთვრამეტე საუკუნე გულმოდგინედ სწავლობდა დეკარტესა და სპინოზას სულიერ მღელვარებათა თეორიებს. საქმე ისაა, რომ წარსულში არ იყო არც ერთი დიდი ფილოსოფოსი, რომელთაც სავალდებულოდ არ მიეჩნიათ საკუთარი დოქტრინის შემოთავაზება. ახალ დროში გრძნობათა სისტემატიზაციის ერთი მნიშვნელოვანი მცდელობაც კი არ ყოფილა, მხოლოდ პფენდერისა და შელერის¹ უახლესი შრომები აგრძელებენ თემას ღირსეულად. **ამასობაში, ჩვენი სულიერი სამყარო ხდება კიდევ უფრო რთული, ხოლო ემოციური განცდები – უმწვავესი.**

ამიტომაც, ჩვენ უკვე აღარ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ აფექტთა ამ ძველი თეორიებით. მაგალითად, ძველბერძნული ტრადიციების ამთვისებელი სიყვარულის ის განსაზღვრება, რომელსაც ჩვენ ვპოულობთ თომა აქვინელთან, აშკარად მცდარია. მისი თვალსაზრისით, სიყვარული და სიძულვილი სურვილის, მიდრეკილების, რაიმესაკენ მისწრაფების ორი გამოვლენაა. სიყვარული – ესაა რაიმე კარგისაკენ და მასში კარგისაკენ სწრაფვა – *concupiscible circa bonum*; სიძულვილი, ან ანტიმისწრაფება – ესაა უსიამოვნება რაიმე ბოროტისადმი, სწორედ ბოროტებისადმი მასში – *concupisibile circa malum*. აქ, ჩვენ ვხედავთ ლტოლვათა და სურვილთა აღრევას გრძნობებსა და ემოციებთან, რომლითაც სცოდავდა მთელი ძველი ფსიქოლოგია XVIII საუკუნემდე. აღრევას, რომელიც თავს შეგვახსენებს ალორძინების ეპოქაში, თუმცა უკვე ესთეტიკურ კატეგორიად გარდაქმნილი. ლორენცო მშვენიერი ამტკიცებდა, რომ *l'amore a un appetito di bellezza*.²

ესაა ის ერთ-ერთი არსებითი განსხვავება, რომელიც გააზრებას საჭიროებს, რათა არ გაგვისხლტეს ის, რაშიც მდგომარეობს სიყვარულის თავისებურება და მისი არსი. ჩვენი სულიერი სამყარო განსაკუთრებულად გულუხვია სასიყვარულო ალტკინებისადმი. გაზვიადებული არ იქნება თუკი მას მივიჩნევთ გულუხვობის, როგორც ასეთის, სიმბოლოდ. სიყვარულისაგან გამომდინარეობს ის, რაც დამახასიათებელია ადამიანისათვის: სურვილები, აზრები, ნებელობითი აქტები, ქცევები. ყოველივე ეს სიყვარულით წარმოშობილი, როგორც მოსავალი თესლით, თავად სიყვარულს არ წარმოადგენს, მაგრამ ადასტურებს მის არსებობას. უდავოა, რომ ასეა თუ ისე, ჩვენ გვიზიდავს ის, რაც გვიყვარს, მაგრამ ასევე ცხადია, რომ ჩვენ გვიზიდავს ისიც, რაც არ გვიყვარს, რაც არ ეხება ჩვენს გრძნობებს. კარგი ღვინო გვიზიდავს, მაგრამ სიყვარულს არ ინვევს. ნარკომანს იზიდავს ნარკოტიკი და იმავდროულად ინვევს ზიზღს მასთან დაკავშირებულ სახიფათო შედეგებისადმი.

მაგრამ, არის კიდევ ერთი, უფრო წონადი და ფაქიზი მიზეზი სიყვარულისა და სურვილის გამიჯვნის. სწორად რომ ვთქვათ, რაიმეს სურვილი ნიშნავს მისწრაფებას მისი დაუფლებისათვის. ამასთანავე, დაუფლების ქვეშ, ასე თუ ისე, იგულისხმება ობიექტის ჩართვა ჩვენს ცხოვრებისეულ სფეროში და მეტ-ნაკლებად ჩვენს ნაწილად გადაქცევა. სწორედ ამიტომ, სურვილი დაკმაყოფილების შემდეგ მაშინვე კვდება, დაუფლება მისთვის სიკვდილია. სიყვარული, პირიქით – ესაა მუდმივი დაუკმაყოფილებლობა. სურვილი პასიურია და მე მსურს, არსებითად, ერთი – რომ სურვილის ობიექტი ჩემკენ მოისწრაფვოდეს. მე ვცოცხლობ ყოველივე არსებულის ჩემკენ მიზიდვის იმედით და პირიქით, სიყვარულში, როგორც ჩვენ კიდევ დავრწმუნდებით, ყველაფერი განმსჭვალულია აქტიური სანყისით. ნაცვლად ობიექტის მოახლოვებისა, სწორედ მე მივისწრაფი ობიექტისაკენ და ვიმყოფები მასში. სასიყვარულო ალტკინებაში ადამიანი თავისი „მესაგან“ დასხლტომილია: შეიძლება, ეს საუკეთესოა ყოველივე იმათ შორის, რაც ბუნებამ მოიგონა,

რათა ყველა ჩვენგანს გვეკონდეს შესაძლებლობა ჩვენი თავის გადალახვით ვიმოძრაოთ რალაც სხვაგვარისაკენ. არა ის მოისწრაფვოდეს ჩემკენ, არამედ მე მისკენ.

ნეტარი ავგუსტინე ერთ-ერთია იმ ადამიანთა შორის, რომლის ნაფიქრი სიყვარულზე გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიღრმით. თავისებური სულიერი წყობით, შეიძლება, სიყვარულის უმაღლესი ძალით დაჯილდოებულით, ზოგჯერ ახერხებდა გადაელახა სიყვარულის, როგორც სურვილისა და ლტოლვის გაგება. შთაგონების წუთებში მან თქვა: „*Amor meus, pindus mewm; illo feror, quocumgue feror*“ – „სიყვარულო ჩემო, ტვირთო ჩემო; მისით სწრაფვული მივდივარ ყველგან, სადაც მივდივარ“. სიყვარული – ესაა საყვარელი ადამიანებისაკენ მიზიდულობა.

სპინოზა შეეცადა შეცდომის თავიდან აცილებას და გვერდზე დატოვა რა მისწრაფება, ეძებდა სასიყვარულო აღტკინებათა და სიძულვილის ემოციურ ახსნას. მისი აზრით, სიყვარული – ესაა სიყვარულის საგნის შეცნობით გამოწვეული სიხარული. სიყვარული რაიმესადმი ან ვინმესადმი – ესაა თითქოსდა, არც მეტი და არც ნაკლები, სიხარული და იმავდროულად შეგნება, რომ ჩვენ გახარებული ვართ ამ რალაცის ან ვილაცის წყალობით; და კვლავ, ჩვენ წინაშე აღრევა სიყვარულსა და მის შესაძლო შედეგებს შორის. განა ვინმეს ეჭვი შეაქვს იმაში, რომ სიყვარულის საგანს შეუძლია სიხარული მოჰგვაროს შეყვარებულს? თუმცა, ასევე სწორია, რომ არსებობს სამწუხარო სიყვარული, როგორც სიკვდილი, გამოუვალი სასიკვდილო ტანჯვა. უფრო მეტიც, ჭეშმარიტი სიყვარული უკეთესად შეიცნობს თავის თავს, თუ გნებავთ, თავის ღირებულებას და თავის მასშტაბებს ტანჯვასა და წამებაში, რაც მას მოაქვს. შეყვარებული ქალისათვის მიჯნურისაგან მიყენებული წყენა ვნებადამცხრალ სიცოცხლეზე უფრო ძვირფასია. პორტუგალიელი მონაზვნის³ მარიანა ალკოფარადოს ნერილებში ვხვდებით ამგვარ აღიარებას, მიმართულს მისი მოლაღატე მაცდუნებლისადმი: „... იმავდროულად, გულის სიღრმეში თქვენი მადლობელი ვარ იმ

სასონარკვეთილებისათვის, რომლის მიზეზიც თქვენ ხართ და მძაგს სიმშვიდე, რომელშიდაც თქვენ გაცნობამდე ვცხოვრობდი [...] გამოვნახე კარგი საშუალება ყველა ამ ჭირის წინააღმდეგ და სწრაფად გავთავისუფლდებოდი მათგან, რომ უფრო ძლიერად არ მიყვარდეთ თქვენ, მაგრამ, ვაი, ეს რა საშუალებაა?! არა, ვამჯობინებ უფრო მეტად ვიტანჯო, ვიდრე თქვენ დაგივიწყოთ. ვაი, ჩემზეა კი ეს დამოკიდებული?! არ ძალმიძს გავამტყუნო საკუთარი თავი იმაში, რომ თუნდაც ერთი წამითაც მომესურვა არ მყვარებოდით უფრო მეტად; თქვენ უფრო ღირსეული ხართ სიბრალულისათვის, ვიდრე მე და უკეთესია ავიტანო ყველა ის ტანჯვა, რომლისთვისაც განწირული ვარ, ვიდრე დავტკბე უბადრუკი მხიარულებით, რომელსაც განიჭებენ თქვენი ფრანგი საყვარლები“. პირველი წერილი მთავრდებოდა სიტყვებით: „მშვიდობით, გიყვარდეთ ყოველთვის და მაიძულეთ განვიცადო უფრო მეტი წამება.“ განვლო ორმა საუკუნემ და სინიორიტა დე ლესპინასი⁴ წერდა: „მე თქვენ მიყვარხართ ისე, როგორადაც ღირს სიყვარული, – უიმედოდ.“

სპინოზა ცდებოდა: სიყვარული და სიხარული ერთი და იგივე არაა.⁵ ის, ვისაც სამშობლო უყვარს, ძალუძს მისთვის სიცოცხლე შესწიროს და მორწმუნეც მიდის მტანჯველი სიკვდილისაკენ; და პირიქით, სიძულვილი და ღვარძლი არცთუ იშვიათად ჰპოვებენ დაკმაყოფილებას თავის თავში და ზარხომობენ საძულველი კაცის თავსდამტყდარ უბედურებათა ცქერის სიხარულით.

ვითვალისწინებ რა, რომ ეს ცნობილი განსაზღვრებები სრულად არ გვაკმაყოფილებს, ვფიქრობ, ღირს სიყვარულის ანალიზის მცდელობა იმგვარადვე უშუალოდ და ზედმინევენით, როგორადაც ამას აკეთებს ტყეში დაჭერილ მწერზე ენტომოლოგი. ვიმედოვნებ, რომ მკითხველებს უყვართ ან უყვარდათ ვილაც ან რალაც და ახლა ძალუძთ თავიანთი შეგრძნებები მთრთოლვარე პატარა ფრთებად აქციონ და თვალი მიაპყრონ აუჩქარებელ შინაგან ხედვას. ჩამოვთვლი ძირითად ზოგად ნიშნებს ამ მოზუზუნე ფუტკრის, რომელსაც შეუძლია თავლის შეგროვება და კბენა. მკითხველები თვითონ გადაწყვეტენ თუ

ფიქრები "ღონ კინოტზე"

მხირე ტრაქტატი რომანზე

მოდით, ვკითხოთ საკუთარ თავს, რა არის „დონ კიხოტი“? ჩვეულებრივ ამ კითხვაზე პასუხობენ, რომ „დონ კიხოტი“ – რომანია და როგორც ჩანს, სამართლიანადაც დაუმატებენ, რომ ის არის რომანი, რომელსაც პირველი ადგილი უჭირავს, როგორც დროში თავისი გამოჩენით, ასევე თავისი მნიშვნელობით.

თანამედროვე მკითხველს „დონ კიხოტი“ ბევრ სიამოვნებას მიანიჭებს, სწორედ, იმ თვისებათა წყალობით, რომელიც ანათესავებს მას თანამედროვე რომანთან, ჩვენი ეპოქის გამორჩეულ ჟანრთან. ძველი წიგნის გვერდების თვალის გადავლევით ჩვენ ყველგან ვხვდებით ახალი დროის იმ სულს, რომელიც მას ახლობელს ხდის ჩვენი გულებისათვის. „დონ კიხოტი“ ისევე გვაღელვებს, როგორც თანამედროვე რომანის პირველადმოჩენთა – ბალზაკის, დიკენსის, ფლობერის, დოსტოვესკის ნაწარმოებები.

მაგრამ რა არის რომანი?

შეიძლება, მსჯელობა ლიტერატურის ჟანრთა არსის შესახებ მოდამი აღარაა და ბევრი ამგვარ კითხვას რიტორიკულადაც კი მიიჩნევს. არიან ისეთებიც, რომლებიც უარყოფენ საკუთრივ ლიტერატურული ჟანრების არსებობას. მაგრამ, ჩვენ მოდის მომხრენი არა ვართ. ვიკისრეთ რა გამბედაობა შევინარჩუნოთ ფარაონული სიმშვიდე ადამიანთა ყოველდღიურ ფაციფუცში, დავისახეთ პასუხის გაცემა კითხვაზე – რა არის რომანი?

1. ლიტერატურული ჟანრები

ანტიკური პოეტიკა ლიტერატურულ ჟანრად განიხილავდა განსაზღვრულ შემოქმედებით წესებს, რომელიც უნდა დაეცვა პოეტს – ცარიელი სქემები, თავისებური მეასედი და უჯრედი, რომლებშიდაც მუზა, როგორც გულმოდგინე ფუტკარი, აგროვებდა პოეტურ თავფლს.

მაგრამ მე ლიტერატურულ ჟანრებს განვიხილავ სრულიად სხვაგვარი აზრით. ფორმა და შინაარსი განუყოფელია, **ხოლო პოეტური შინაარსი იმდენად თავისუფალია, რომ მას არ შეიძლება თავს მოვახვიოთ აბსტრაქტული ნორმები.**

მიუხედავად ამისა, საჭიროა ფორმასა და შინაარს შორის განსხვავების ხაზგასმა, ვინაიდან ისინი ერთი და იგივე არაა; ფლობერი ამბობდა: „ფორმა გამომდინარეობს შინაარსისაგან ისევე, როგორც სითბო ცეცხლისაგან“. მართებული მეტაფორაა. **მაგრამ, უფრო სწორია ვთქვათ, რომ ფორმა ორგანოა, ხოლო შინაარსი – ფუნქცია, მისი შემქმნელი.** სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, – **ლიტერატურული ჟანრები წარმოადგენენ პოეტურ ფუნქციებს, მიმართულებებს, რომლებშიც ვითარდება პოეტური შემოქმედება.**

თანამედროვე ტენდენცია უარყოს განსხვავება შინაარსსა (თემა) და ფორმას (მოცემული შინაარსისათვის დამახასიათებელი გამოსახვის საშუალებათა არსენალი) შორის, მე წარმომიდგება იმგვარადვე ტრივიალურად, როგორც სქოლასტიკური განცალკევება ერთისა და მეორესი. სინამდვილეში, საუბარია განსხვავებებზე, მიმართულებასა და გზას შორის სავსებით იგივეობრივ განსხვავებაზე. განსაზღვრული მიმართულების არჩევა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მიზნამდე მისვლას. ნასროლი ქვა თავის თავში შეიცავს ტრაექტორიას, რომელსაც ის ჰაერში შემოწერს. მოცემული ტრაექტორია წარმოადგენს რაღაც განმარტებას, განვითარებას, თავდაპირველი იმპულსის განხორციელებას.

ამგვარად, ტრაგედია წარმოადგენს განსაზღვრული ფუნდამენტური პოეტური შინაარსის და მხოლოდ მისი, ტრაგიკული თემის განვითარებას. ამგვარად, ფორმაში არსებობს ის, რაც

იყო შინაარშიც, მაგრამ ის, რასაც შინაარსში ჰქონდა განზრახულობის ან წმიდა ჩანაფიქრის ხასიათი, ფორმაში წარმოდგენილია, როგორც რალაც გამოხატული, მონესრიგებული და გაშლილი. სწორედ ამაში მდგომარეობს განუყრელი ხასიათი ფორმისა და შინაარსის, როგორც ერთისა და იმავე ორი მომენტის.

ამგვარად, ლიტერატურულ ჟანრთა ჩემეული გაგება საპირისპიროა იმისა, რომელიც წამოაყენა ანტიკურმა პოეტიკამ; **ლიტერატურული ჟანრები – განსაზღვრული ძირითადი თემები, ერთმანეთთან პრინციპულად შეუთავსებელი, – ნამდვილი ესთეტიკური კატეგორიებია. მაგალითად, ეპოპეა ესაა არა პოეტური ფორმის სახელწოდება, არამედ სუბსტანციონალური პოეტური შინაარსის, რომელიც თავისი განვითარებისას ან გამოხატვისას აღწევს სისავსეს. ლირიკა არაა პირობითი ენა, რომელზედაც შეიძლება გადატანილ იქნას რალაც, უკვე დრამის ან რომანის ენაზე თქმული, მაგრამ, იმავდროულად რალაც, რაც უნდა ითქვას, და ერთადერთი საშუალება – ითქვას იგი საკმაო სისავსით.**

ასეა თუ ისე, ხელოვნების ძირითადი თემა ყოველთვის ადამიანია. ჟანრები, გაგებული, როგორც ესთეტიკური თემები, რომლებიც ერთმანეთთან შეუთავსებელია და თანაბარი ხარისხით აქვთ დასრულებული და აუცილებელი ხასიათი, არსებითად სხვა არაფერია, თუ არა ფართო თვალთახედვა, რომელშიც განიხილება ადამიანურობის უმნიშვნელოვანესი მხარეები. ყოველ ეპოქას შემოაქვს, ადრე არსებულისაგან, პრინციპულად განსხვავებული ადამიანის თავისებური განმარტება. უფრო სწორად, კი არ შემოაქვს, არამედ თვითონ არის ასეთი განმარტება. აი, რატომ აქვს ყოველ ეპოქას თავისი გამორჩეული ჟანრი.

2. ღამრიგებლობითი რომანები

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპელები ტკბებოდნენ რომანების კითხვით.

როდესაც დრო, იმ ეპოქის შემადგენელი ფაქტების ურიცხვოდენობაში, აწარმოებს მიუკერძოებელ შერჩევას, რომანის გამარჯვება აღნიშნული იქნება, როგორც ნათელი და ჭკუის დამრიგებლური მოვლენა. ეს უდავოა.

მაგრამ, რა უნდა გავიგოთ სიტყვა – „რომანი“-ს ქვეშ? აი, საკითხი! ზოგიერთ, საკმაოდ მცირე მოცულობის ნაწარმოებებს, სერვანტესი „დამრიგებლობით რომანებს“ უწოდებს.¹ რაში მდგომარეობს ამგვარი სახელწოდების აზრი?

ის, რომ რომანები „დამრიგებლურია“, ამაში გასაოცარი არაფერია. ზნეობრივი სწავლების ელფერი, რომელიც თავის თხზულებებს მიანიჭა, ჩვენს მწერლებს შორის ყველაზე უფრო წარმართმა, სავსებით უნდა იქნას მიკუთვნებული იმ გმირულ თვალთმაქცობას, რომელსაც აღიარებდნენ XVII საუკუნის საუკეთესო მოაზროვნეები. ეს იყო საუკუნე, როდესაც დიდი აღორძინების თესლმა აღმონაცენი მოგვცა და იმავდროულად, კონტრეფორმაცია და იეზუიტთა ორდენის დაარსება. ეს იყო დრო, როდესაც ახალი ფიზიკის დამფუძნებელმა – გალილეიმ, სამარცხვინოდ არ მიიჩნია თავის შეხედულებათა უარყოფა, ვინაიდან კათოლიკურმა ეკლესიამ მკაცრი დოგმატური ხელით აკრძალა მისი მოძღვრება. ეს იყო საუკუნე, როდესაც დეკარტემ, ძლივსძლივობით მოახერხა თავისი მეთოდის პრინციპის ჩამოყალიბება, რომლის წყალობითაც თეოლოგია გადაიქცა *ancilla philosophiae*,² და იგი თავპირისმტვრევით გაექანა ლორეტოში,³ – რათა მადლობა ეთქვა ღვთისმშობლისათვის ამგვარი აღმოჩენის ბედნიერებისათვის. ეს იყო საუკუნე კათოლიციზმის გამარჯვებისა და ამასთანავე, საკმაოდ ხელსაყრელი საუკუნე რაციონალისტთა უდიდეს თეორიათა წარმოშობისათვის, როდესაც პირველად ისტორიაში აღმართეს გონების მძლავრი ბურჯები რწმენის წინააღმდეგ საბრძოლველად. დიახ, ეს მწარე საყვედურად გაისმის ყველასადმი, ვინც საშურველი სიმარტივით მთლიანად ბრალს დებს ინკვიზიციას იმაში, რომ ესპანეთი ვერ მიეჩვია აზროვნებას!

მაგრამ, დავუბრუნდეთ სახელწოდებას – „რომანები“, რომელიც სერვანტესმა თავის წიგნებს მისცა. მასში მე ვპოულობ ორი რიგის ნაწარმოებებს, რომლებიც ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდება, თუმცა გარკვეული აზრით ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თითოეულ ამ წიგნში ბატონობს საკუთარი მხატვრული განზრახვა, ასე რომ ისინი შესაბამისად მიისწრაფვიან პოეტური შემოქმედების სხვადასხვა ცენტრისაკენ. როგორ გახდა შესაძლებელი, რომ ერთ ჟანრში გაერთიანდა „დიდსულოვანი თავყვანისმცემელი“, „ინგლისელი ესპანელი ქალი“, „სისხლის ძალა“ და „ორი ქალწული“ ერთი მხრივ და „რინკონეტე“ და „ექვანი ესტრემადურეცი“ – მეორე მხრივ ორი სიტყვით ახსნით რაშია განსხვავება. პირველი რიგის ნაწარმოებებში ჩვენ ვეჯახებით სასიყვარულო თავგადასავლებსა და ბედისწერის უკუღმართობაზე თხრობას. აქ მშობლიურ კერას მოკლებული ბავშვებია, რომლებიც იძულებულნი არიან იხეტიალონ საკუთარი სურვილის გარეშე; აქ ახალგაზრდებიც არიან, რომლებიც სიამოვნებას დადევნებულნი, ცეცხლოვანი მეტეორის მსგავსად, იწვიან სიყვარულის ცეცხლში; აქ ქარაფშუტა ქალიშვილებიც არიან, რომლებიც გზისპირა სამიკიტნოებში მძიმედ ოხრავენ და ციციერონის მჭერმეტყველებით მსჯელობენ თავიანთ შებღალულ პატიოსნებაზე; და სავსებით შესაძლებელია, რომ ერთ-ერთ ამგვარ ფუნდუკში შეიძლება შემთხვევით ვნებით გადაწული ძაფები ჩამოეშვას და ბოლოს და ბოლოს, დაკარგული გულებიც შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ, ეს ჩვეულებრივი სამიკიტნოები ხდება ყველაზე უფრო მოულოდნელი გარდაქმნებისა და შეხვედრების ადგილი. ყოველივე ამ რომანებში მოთხრობილი დაუჯერებელია და თვით მკითხველის ინტერესიც დაუჯერებლობას ემყარება. „პერსილესი“⁴ – ამგვარი ტიპის დიდი დამრიგებლობითი რომანი – ადასტურებს იმას, რომ სერვანტესს უყვარდა დაუჯერებლობა როგორც ასეთი, ხოლო, რადგანაც, სწორედ ამ ნაწარმოებით კრავს იგი თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის წრეს, ჩვენ მთელი სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ აღნიშნულ გარემოებას.

საქმეც იმაშია, რომ სერვანტესის ზოგიერთი რომანის თემა ყველა ის მარადიული თემაა, რომელიც მრავალი საუკუნის წინ შექმნა ევროპელთა პოეტურმა წარმოსახვამ, იმდენად დიდი ხნის წინ, რომ გარდაქმნილი სახით შეიძლება აღმოვაჩინოთ ძველბერძნულ და მცირე აზიურ მითებში. ყოველივე თქმულის შემდეგ, თვითონ განსაჯეთ – შეიძლება კი სერვანტესთან თხრობის პირველ ტიპად წარმოდგენილი ლიტერატურული ჟანრი მიჩნეულ იქნას რომანად? რატომაც არა? მაგრამ, ნუ დავივწყებთ, რომ ეს ლიტერატურული ჟანრი მოგვიტხრობს დაუჯერებელ, გამოგონილ, არარეალურ ამბებს.

ავტორი სრულიად სხვა ამოცანას გადაწყვეტს რომანთა მეორე რიგში, მაგალითად „რინკონეტე და კორტადილოში“. აქ თითქმის არაფერი ხდება. დაკავებული არ ვართ ვნებათა გამალებული მოძრაობით. საჭირო არაა აჩქარება ერთი გვერდიდან მეორეზე გადასვლისათვის – გაიგო, როგორი ახალი მიმართულებით განვითარდება ამბები; და, თუკი ჩვენ ვაჩქარებთ ნაბიჯს, მხოლოდ იმიტომ, რომ კვლავ დავისვენოთ და მშვიდად მიმოვიხედოთ აქეთ-იქით. ჩვენ თვალწინ გადაიშლება სტატიკური და დეტალურად ამონერილი სურათები; პერსონაჟები და მათი საქციელი... ისინი იმდენად შორსაა დაუჯერებლობისაგან, რომ უინტერესოც კი არის; და არ მითხრათ, რომ გაიძვერა რინკონი და კორტადო, მხიარული გოგონები განანსიოსა და კარიარტა, ან არამზადა რეპოლიდო თუნდაც რალაციით მიმზიდველნი იყვნენ. კითხვისას ნათელი ხდება რომ არა თავად ისინი, არამედ მხოლოდ ის, თუ როგორ წარმოგვიდგენს მათ ავტორი, ინვეეს ჩვენ ინტერესს.⁵ უფრო მეტიც, ისინი რომ უფრო მიმზიდველი და ნაკლებად უგვანონი ეჩვენებინა ჩვენი ესთეტიკური გრძნობა სხვაგვარი გზებით განვითარდებოდა.

როგორი კონტრასტია პირველი ტიპის რომანების მხატვრულ ჩანაფიქრთან შედარებით! მათში, სწორედ, თავად პერსონაჟები, თავგადასავლებით აღსავსე მათი ცხოვრება, იყო ესთეტიკური ტკბობის წყარო; ავტორის მონაწილეობა მინიმუმამდე იყო დაყვანილი. აქ კი, პირიქით, ჩვენ გვანტერესებს

მხოლოდ ის, თუ როგორ უყურებს თვით ავტორი იმათ ვულგარულ ფიზიონომიებს, ვის შესახებაც იგი მოგვითხრობს. მითითებულ განსხვავებაში სავსებით ანგარიშმიცემული სერვანტესი „ძაღლის საუბარში“ წერდა: „მე მსურს შენი ყურადღება მივაპყრო ერთ საგანზე, რომლის სამართლიანობაშიც შენ დარწმუნდები, როდესაც მე მოგიყვები ჩემი ცხოვრების ისტორიას. საქმე იმაშია, რომ არსებობს მოთხრობები, რომელთა მომხიბვლელობა მდგომარეობს თვით მათში, მაშინ, როდესაც სხვა მოთხრობათა სიმშვენიერე მდგომარეობს იმაში, თუ როგორ მოგვითხრობენ ისინი; მინდა ვთქვა, რომ ზოგიერთი მოთხრობა გვატყვევებს წინასიტყვაობისა და სიტყვათა შელამაზებისაგან დამოუკიდებლად, ზოგიერთის კი – სიტყვებით მორთვა გვინებს და მიმიკის, უესტისა და ხმის ცვალებადობის დახმარებით არაფრისაგან მიიღება ყველაფერი: სისუსტისა და უფერულისაგან ისინი ხდებიან მძაფრნი და საინტერესონი“.

მაშ, – რა არის რომანი?

3. ეპოსი

ექვს არ იწვევს მაინც ერთი გარემოება: იმას, რაც წარსული დროის მკითხველს სიტყვაში – „რომანი“ ესმოდა არაფერი საერთო აქვს ანტიკურ ეპოსთან. ერთის მეორისაგან გამოყვანა ნიშნავს რომანული ჟანრის პერიპეტიათა გააზრების გზათა დაკეტვას: მხედველობაში მაქვს ის მხატვრული ევოლუცია, რომელიც დასრულდა XIX საუკუნის რომანის ჩამოყალიბებით.

რომანი და ეპოსი აბსოლიტური დაპირისპირებულობაა. ეპოსი მოგვითხრობს სამყაროზე, რომელიც იყო და წავიდა, მითიურ საუკუნეებზე, რომლის სიძველის სიღრმე შეუდარებელია ყველა ისტორიული სიძველისადმი. ცხადია, ლოკალური პიეტეტი ცდილობდა აენყო სუსტი კავშირები ჰომეროსის გმირებსა და ღმერთებს შორის და თანამედროვეობის გამოჩენილ მოქა-

ბამომსახელობა "აქტი"-ს მიერ გამოცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტი
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
4. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
5. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი
6. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
7. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება
8. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
9. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
10. ლევ შესტოვი – უსაფუძვლობის აპოთეოზი
11. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო
12. ბერტრან რასელი – ესეები
13. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი
14. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
15. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
16. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი
17. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
18. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
19. ერის ფრომი – ადამიანის სული
20. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
21. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
22. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე